სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 9

ქ. ონი 25. 09. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ვლადიმერ ბერელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, სერგო ლობჯანიძე, მადლენა მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მარკოიშვილი, როსტომ ლობჯანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები შესაძლებლობის ფარგლებში იმ პრობლემებს მოუგვარებს მოსახლეობას, რომელიც აქტუალური და პრიორიტეტულია მათთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე